



MINISTÈRE  
DE LA SANTÉ  
ET DE LA PRÉVENTION

*Liberté  
Égalité  
Fraternité*

# საბოროტი

საინფორმაციო სახელმძღვანელო



# შინაარსი

შესავალი .....	3
პირველი ნაბიჯი: საკონსულტაციო შეხვედრა .....	6
მეორე ნაბიჯი: თანმობის მოპოვება .....	8
მესამე ნაბიჯი: აბორტის პროცედურა .....	10
ქირურგიული აბორტი.....	11
მედიკამენტოზური აბორტი .....	12
მეოთხე ნაბიჯი: განმეორებითი კონსულტაცია .....	15
კონტრაცეფცია აბორტის შემდგომ .....	17
რევერსიული კონტრაცეფცია .....	17
კონტრაცეფციის არჩევა .....	18
ინტრავაგინალური კონტრაცეფცია .....	18
სად მოიპოვოთ დამატებითი ინფორმაცია კონტრაცეფციის შესახებ.....	19
დანართები .....	21

## შესავალი

**აბორტის უფლების მოპოვება ქალებისთვის უდიდესი გამარჯვება და დიდხანანი ბრძოლის შედეგია მათ სხეულებზე კონტროლის მოსაპოვებლად.** ამ დოკუმენტის მე-5 დანართი ხაზს უსვამს იმ ნაბიჯებს, რომლებიც გაიარეს კანონით ამ უფლების მოსაპოვებლად.

**არ აქვს მნიშვნელობა ზრდასრულს თუ არასწრულწლოვანს, ყველა ორსულ ქალს, რომელსაც არ სურს ორსულობის გაგრძელება, აქვს უფლება მოითხოვოს აბორტი ექიმითან ან ბებიაქალთან.** მხოლოდ ფეხმძიმე ქალს შეუძლია ამ მოთხოვნის გაკეთება.

აბორტის გაკეთება შესაძლებელია ფეხმძიმობის მე-14კვირის ბოლომდე, რაც შეესაბამება მე-16კვირას ბოლო მენსტრუალური ციკლის დასაწყისს (ამენორეის 16 კვირა).

**!** იმისათვის, რომ დაიცვათ დროის ეს შუალედი, მნიშვნელოვანია დროულად აირჩიოთ მეთოდი მას შემდეგ, რაც მიიღეთ აბორტის გაკეთების გადაწყვეტილება.

არსებობს აბორტის ორი მეთოდი:

- **ქირურგიული მეთოდი:** ეს შესაძლებელია გაკეთდეს მხოლოდ კვალიფიციური ექიმის ან ბებიაქალის მიერ ჯანმრთელობის ცენტრში ან სამედიცინო დაწესებულებაში;
- **მედიკამენტოზური მეთოდი:** ეს შესაძლებელია გაკეთდეს მხოლოდ ექიმის ან ბებიაქალის მიერ.

აუცილებელია გაითვალისწინოთ, რომ აბორტთან დაკავშირებული ყველა ხარჯი სრულად დაფინანსდება ჯანმრთელობის დაზღვევით (დანართი 2).

როგორც გათვალისწინებულია მოქმედი რეგულაციებით, ეს სახელმძღვანელო მიზნად ისახავს დაგეხმაროთ თქვენი გადაწყვეტილების მიღებაში და მოგაწოდოთ საჭირო ინფორმაცია აბორტის შესახებ.

ინფორმაციის მოპოვება ასევე შესაძლებელია:

- უფასო და ანონიმური ეროვნული “Sexualités – Contraception – IVG” (“სექსუალურობა – კონტრაცეფცია – აბორტი”) ნომერზე: +33 (0) 800 081 111.
- ოფიციალურ ეროვნულ ვებ-გვერდზე: <https://ivg.gouv.fr/>
- სექსობრივი ჯანმრთელობის ცენტრებში (CPEF) ან საინფორმაციო, საკონსულტაციო და საოჯახო მხარდაჭერის ცენტრებში, სახელწოდებით “Espaces Vie Affective, Relationnelle et Sexuelle” (EVARS). ამ ორგანიზაციების მისამართები და საკონტაქტო დეტალები, დეპარტამენტის მიერ: <https://ivg.gouv.fr/>
- საფრანგეთის ჯანდაცვისა და პრევენციის სამინისტროს ვებ-გვერდზე (ministère de la Santé et de la Prévention): <https://solidarites-sante.gouv.fr/>

## მე მსურს ორსულობის შეწყვეტა

მე დავგეგმავ შეხვედრას  
ექიმთან ან ბებიაქალთან  
რაც შეიძლება სწრაფად



თუ გსურთ ორსულობის შეწყვეტა, შეგილიათ დანიშნოთ შეხვედრა ექიმთან ან ბებიაქალთან:

- ადგილობრივ კლინიკაში;
- სექსობრივი ჯანმრთელობის ცენტრში (ე.წ. CPEF);
- ჯანმრთელობის ცენტრში;
- სამედიცინო დაწესებულებაში (საავადმყოფო ან კლინიკა).

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ კონსულტაცია პირისპირ ან დისტანციურად (იმ შემთხვევაში თუ შემოგთავაზებენ) (იხილეთ დანართი 3).



**გაითვალისწინეთ დროის შუალედები, რაც განკუთვნილია აბორტისთვის,** განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში თუ ეს სერვისი უნდა მიიღოთ სამედიცინო დაწესებულებაში.

ყველა სამედიცინო დაწესებულება, არ აქვს მნიშვნელობა საჯარო თუ კერძო, არ ახორციელებს ორ აბორტის მეთოდს (ქირურგიულს ან მედიკამენტოზურს). მნიშვნელოვანია იცოდეთ ამის შესახებ რაც შეიძლება ადრე არჩეული დაწესებულებიდან ან უფასო და ანონიმურ ეროვნულ „Sexualités – Contraception – IVG“ ნომერზე: +33 (0) 800 081 111.

ზოგიერთი დაწესებულება გადატვირთულია და ლოდინის დრო შესაძლოა ძალიან ხანგრძლივი იყოს. კონსულტაციის დაჯავშნისას ეს უნდა გაითვალისწინოთ.



# პირველი ნაბიჯი: საკონსულტაციო შეხვედრა



## პირველი ნაბიჯი: საკონსულტაციო შეხვედრა




- ექიმი ან ბებიაქალი მოგაწოდებთ ინფორმაციას და დოკუმენტებს; არ მოგერიდოთ კითხვების დასმა.
- ისინი შემოგთავაზებენ ფსიქოსოციალურ კონსულტაციას.

### ფსიქოსოციალური ვიზიტი

- >სავალდებულოა არასრულწლოვნებისთვის
- >შეთავაზდება ზრდასრულებისთვის
- >გაიგეთ, თუ სად უნდა წავიხედოთ და მიიღეთ ინფორმაცია თქვენი უფლებების შესახებ აქ:

0 800 08 11 11

უფასო და ანონიმური  
სერვისები და ზარები



### ამ კონსულტაციის დროს:

- თქვენ ითხოვთ აბორტს.
- თქვენ მიიღებთ სახელმძღვანელოს და ინფორმაციას ვერბალურად:
  - აბორტის სხვადასხვა მეთოდის შესახებ: ქირურგიული და მედიკამენტოზური (იხილეთ “აბორტის პროცედურა”, გვერდი 10);
  - იმის შესახებ, თუ სად ჩატარდება აბორტი, კერძოდ, თქვენი ვარიანტები:
    - ქირურგიული აბორტის შემთხვევაში: სამედიცინო დაწესებულებაში (საავადმყოფო, კლინიკა) ან ავტორიზებულ ჯანმრთელობის ცენტრში,
    - მედიკამენტოზური აბორტის შემთხვევაში: სამედიცინო დაწესებულებაში (საავადმყოფო, კლინიკა), ადგილობრივი კლინიკა, სქესობრივი ჯანმრთელობის ცენტრში (ე.წ. CPEF) ან ავტორიზებულ ჯანმრთელობის ცენტრში;
  - რისკებისა და პოტენციური გვერდითი მოვლენების შესახებ.

- ექიმი ან ბებიაცალი შემოგთავაზებენ **ფსიქოსოციალურ ინტერვიუს. ეს არჩევითია ზრდასრულებისთვის, მაგრამ სავალდებულო არასრულწლოვანებისთვის.**

თქვენ მოგისმენენ და მიიღებთ ფსიქოსოციალურ მხარდაჭერას, ინფორმაციებს და რჩევებს, რომლებიც მორგებული იქნება თქვენს მდგომარეობაზე. მოსმენისა და განხილვის ეს მომენტი მნიშვნელოვანია თქვენს მხარდასაჭერად ამ პერიოდის განმავლობაში, რომელიც ზოგჯერ შესაძლოა რთული იყოს.

ამ საწყისი საკონსულტაციო შეხვედრისთვის შეგიძლიათ მოითხოვოთ პირისპირ ან დისტრანციური შეხვედრა იმ შემთხვევაში, თუ თქვენი სამედიცინო სპეციალისტი ამას შემოგთავაზებთ (იხილეთ დანართი 3).

## **ფსიქოსოციალური ვიზიტი აბორტამდე**

ეს მოხდება პირველ და მეორე ნაბიჯს შორის აბორტამდე. ეს კონსულტაცია **არჩევითია ზრდასრულებისთვის, მაგრამ სავალდებულო არასრულწლოვანებისთვის.**

ეს შეიძლება მოხდეს “Espaces Vie Affective, Relationnelle et Sexuelle” (EVARS) (ე.წ. საოჯახო ინფორმაციის, კონსულტაციისა და რჩევის ინსტიტუტები, EICCF), სქესობრივი ჯანმრთელობის ცენტრში (ე.წ. ოჯახის დაგეგმვისა და განათლების ცენტრები), სოციალური მომსახურების განყოფილებაში ან სხვა. დამტკიცებულ ორგანოში, პროფესიონალთან, რომელიც კვალიფიცირდება ურთიერთობისა და ოჯახურ თერაპიაში.

ამ შეხვედრის დროს, შემოგთავაზებენ სოციალურ და ფსიქოლოგიურ დახმარებას.

შეგიძლიათ მოითხოვოთ პირისპირ ან დისტრანციური შეხვედრა იმ შემთხვევაში, თუ თქვენი სამედიცინო სპეციალისტი ამას შემოგთავაზებთ (იხილეთ დანართი 3).

იმ შემთხვევაში, თუ სპეციალისტი (ექიმი ან ბებიაცალი) არ აკეთებს აბორტს თავად, უნდა მოგაწოდოთ იმ ექიმის ან დაწესებულების სახელი, რომელიც გააკეთებს. ისინი დაგიბრუნებენ თქვენს მოთხოვნას და თქვენ შეავსებთ ფორმას, რომელიც დაადასტურებს, რომ გაიარეთ ეს პირველი სავალდებულო ნაბიჯი(საინფორმაციო პერიოდი).



მეორე ნაბიჯი: თანხმობის მოპოვება



- ჩემს ექიმთან ან ბებიაქალთან ერთად ავირჩიე ინტერვენციის მეთოდი, ჩემი მდგომარეობისა და ხელმისაწვდომობის შესაბამისად სამედიცინო ცენტრებში.
- მე ვადასტურებ ჩემს მოთხოვნას აბორტზე და გიზიარებთ ჩემს წერილობით თანხმობას
- იმ შემთხვევაში თუ ისინი თავად არ აკეთებენ აბორტს, ისინი წარმოადგენენ სპეციალისტების სიას
- ამ შემთხვევაში, ისინი წარმოადგენენ დადასტურების დოკუმენტს, რომლის თანახმადაც შევასრულე წინა სავალდებულო ნაბიჯები

**პირველ და მეორე საფეხურებს შორის რეფლექსიის მინიმალური პერიოდი აღარ არის. შეგიძლიათ არ იჩქაროთ თქვენს გადაწყვეტილებაზე დასაფიქრებლად, აბორტის განხორციელების კანონიერი ვადის გათვალისწინებით (ორსულობის 14 კვირა).**

თუ თქვენ აირჩიეთ ფსიქოსოციალური ინტერვიუ (ან ეს აუცილებელია, რადგან არასრულწლოვანი ხართ), ეს მოხდება აბორტის პროცესის პირველ ორ საფეხურს შორის.

**მეორე ნაბიჯის დროს:**

- თქვენ დაადასტურებთ თქვენს მოთხოვნას აბორტზე წერილობით და მისცემთ თანხმობას ექიმს ან ბებიაქალს. თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ პირისპირ ან დისტანციური შეხვედრა თანხმობის მოპოვების ამ ეტაპზე (იხილეთ პრაქტიკული ვარიანტები დანართში 3).
- თქვენ ირჩევთ თქვენთვის სასურველ აბორტის მეთოდს, ასევე იმ ადგილს, სადაც ის განხორციელდება.



- ეს ასევე საუკეთესო შესაძლებლობაა ექიმისთვის ან ბებიაქალისთვის:
  - დაგეხმაროთ გადაწყვეტილება მიიღოთ კონტრაცეფციის მეთოდზე, რომელიც უნდა აირჩიოთ აბორტის შემდგომ;
  - იმ შემთხვევაში, თუ აირჩევთ, დაგინიშნოთ სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებზე სკრინინგი, აივ ინფექციის ჩათვლით, ასევე საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი (25 წლიდან).
- იმ შემთხვევაში, თუ სპეციალისტი (ექიმი ან ბებიაქალი) არ აკეთებს აბორტს თავად, უნდა მოგაწოდოთ იმ ექიმის, დაწესებულების სახელი, რომელიც გააკეთებს. ისინი დაგიბრუნებენ თქვენს მოთხოვნას და თქვენ შეავსებთ ფორმას, რომელიც დაადასტურებს, რომ გაიარეთ ეს პირველი სავალდებულო ნაბიჯი(საინფორმაციო პერიოდი).

## სხვა სამედიცინო კონსულტაციები

თუ არჩეული მეთოდი საჭიროებს ადგილობრივი ანესთეზიისგან განსხვავებულ ფორმას, პრე-ანესთეზიის კონსულტაცია სავალდებულოა პროცედურამდე.

# მესამე ნაბიჯი: აბორტის პროცედურა



## მესამე ნაბიჯი: აბორტი

ორსულობის მე-14



კვირის ბოლომდე



### ქირურგიული მეთოდი

(შესაძლებელია ჩატარდეს მხოლოდ უქიმი ან ბუბიაქალის მიერ)

- იმ შემთხვევაში, თუ რეკომენდირებულია ზოგადი ანესთეზია, მე მექნება ანესთეზიის-წინა კონსულტაცია.
- პროცედურას დაახლოებით 10 წუთი სჭირდება
- ადგილობრივი ან ზოგადი ანესთეზია: საავადმყოფოში ვიქნები მხოლოდ რამდენიმე საათის განმავლობაში

> ამ პროცედურის ჩატარება დასაშვებია მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებაში ან ჯანდაცვის ცენტრში

ორსულობის მე-7



კვირის ბოლომდე



### მედიკამენტოზური მეთოდი

- მიიღეთ პირველი პრეპარატი (მიფეპრისტონი) ორსულობის შესაწყვეტად პირველი კონსულტაციის დროს ან სახლში კონსულტაციის შემდგომ
- 36 ან 48 საათის განმავლობაში: მიიღეთ მეორე პრეპარატი (მიფეპრისტონი), იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაფიქსირდა სისხლდენა პირველი პრეპარატის შემდგომ. პრეპარატი გამოიწვევს აბორტს.
- სისხლდენა შესაძლოა გაგრძელდეს 10 დღემდე ორსულობის შეწყვეტის შემდგომ

> ამ პროცედურის ჩატარება დასაშვებია მხოლოდ სამედიცინო სპეციალისტის ზედამხედველობის ქვეშ ან სახლში



## არსებობს აბორტის ორი განსხვავებული მეთოდი:

- ქირურგიული მეთოდი;
- მედიკამენტოზური მეთოდი.

არჩეული მეთოდი დამოკიდებულია თქვენს პრეფერენციებზე, ლოკინის დროზე, პოტენციურ სამედიცინო უკუჩვენებებზე, რომლებიც უკავშირდება თქვენს ჯანმრთელობას ან ცხოვრების პირობებს და დამოკიდებულია ორსულობის ვადაზე. თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ეს გადაწყვეტილება ექიმის ან ბებიაქალის დახმარებით.

## ქირურგიული აბორტი

**ქირურგიული აბორტის გაკეთება შესაძლებელია ორსულობის მე-14კვირის ბოლომდე ან 16 კვირის შემდგომ თქვენი ბოლო ციკლის დაწყებიდან.**

ის ტარდება ექიმის მიერ **სამედიცინო დაწესებულებაში ან ავტორიზებულ ჯანმრთელობის ცენტრში** ან კვალიფიციური ბებიაქალის მიერ, რომელიც მუშაობს სამედიცინო დაწესებულებაში<sup>1</sup>.

## რა ხდება ქირურგიული აბორტის დროს?

### → მეთოდი

ქირურგიული აბორტი გულისხმობს საშვილოსნოს შიგთავსის ამოღებას გამწოვით საშვილოსნოს ყელის გაფართოების შემდეგ. შეიძლება დაინიშნოს მედიკამენტები საშვილოსნოს ყელის გასახსნელად. ექიმს ან ბებიაქალს შეჰყავს მილი(ორსულობის სტადიის შესაბამისი ზომის) საშვილოსნოში, რათა შეწოვით ამოიღოს შიგთავსი.

### → ანესთეზია

პროცედურა შესაძლოა ჩატარდეს ადგილობრივი ან ზოგადი ანესთეზიის ქვეშ. ექიმის ან ბებიაქალის დახმარებით შეგიძლიათ აირჩიოთ ანესთეზიის ის ტიპი, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება თქვენს მდგომარეობას.

### → პროცედურა

ძირითად შემთხვევებში, მონიტორინგის რამდენიმე საათი სამედიცინო დაწესებულებაში ან ჯანმრთელობის ცენტრში საკმარისია აბორტის შემდგომ, იმ შემთხვევაშიც კი თუ ის ჩატარდა ზოგადი ანესთეზიის ქვეშ.

პროცედურას დაახლოებით 10 წუთი ჭირდება

აბორტის შემდგომ, თქვენ შემოგთავაზებენ კონტრაცეფციის მეთოდს დაუყოვნებლივი ეფექტით.

1 2022 წლის 2 მარტის კანონის იმპლემენტაციის განკარგულების მოლოდინში, რომელიც აზოგადებს სამედიცინო დაწესებულებაში გაწვრთნილი ბებიაქალის მიერ ჩატარებულ ქირურგიულ აბორტს, ეს პროცედურა ზოგიერთ დაწესებულებაში საცდელად ტარდება.

## რა გართულებები შესაძლოა წარმოიშვას ქირურგიული აბორტის დროს?

დაუყოვნებლივი გართულებები იშვიათია:

- აბორტის დროს სისხლდენა ძალიან იშვიათად იჩენს თავს;
- იშვიათია საშვილოსნოს პერფორაცია ვაკუუმური ტიპის აბორტის დროს.

აბორტის შემდგომ გართულებები ძალიან იშვიათია. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, აბორტის შემდგომ დღეებში შეიძლება განიცადოთ:

- ცხელება, 38°C-ზე მაღალი ტემპერატურით;
- სისხლის მნიშვნელოვანი რაოდენობის დაკარგვა;
- მუცლის მწვავე ტკივილი;
- თავბრუსხვევა.

**თუ განიცდით ერთს ან მეტ სიმპტომს/ჩვენებას, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ იმ დაწესებულებას, სადაც ჩაიტარეთ აბორტი, ან, თუ წინააღმდეგ შემთხვევაში, უახლოეს გადაუდებელი და სასწრაფო დახმარების განყოფილებას, რადგან ეს შესაძლოა იყოს გართულების ნიშანი.**

## მეთოდის ეფექტურობა

ქირურგიულ მეთოდს აქვს 99.7% წარმატების მაჩვენებელი, შესაბამისად წარუმატებლობის შანსი ძალიან დაბალია.

## მედიკამენტოზური აბორტი

მედიკამენტოზური აბორტის გაკეთება შესაძლებელია ორსულობის **მე-7 კვირის** ბოლომდე ან 9 კვირის შემდგომ თქვენი ბოლო ციკლის დაწყებიდან,

მედიკამენტოზური აბორტი კეთდება:

- სამედიცინო დაწესებულებაში (საავადმყოფო ან კლინიკა);
- ადგილობრივ კლინიკაში კვალიფიციური ექიმის ან ბებიაქალის მიერ;
- ავტორიზებულ სექსუალური ჯანმრთელობის ცენტრში (ე.წ. ოჯანის დაგეგმვისა და განათლების ცენტრებში);
- ავტორიზებულ ჯანმრთელობის ცენტრში;

ადგილობრივ კლინიკებში, მხოლოდ ის ექიმები და ბებიაქალები, რომლებსაც აქვთ თანხმობა სამედიცინო დაწესებულებისგან, არიან ავტორიზებული მედიკამენტოზური აბორტის ჩასატარებლად.

მედიკამენტოზური აბორტი შესაძლოა ჩატარდეს სრულად ან ნაწილობრივ დისტანციური კონსულტაციის დროს (დანართი 3).

## რა ხდება მედიკამენტოზური აბორტის დროს?

მედიკამენტოზური აბორტის პროცესი მოიცავს ორ პრეპარატს:

### 1. მეფიპრისტონის მიღება

ეს პრეპარატი **ახდენს აბორტის პროცესის ინიცირებას**. მისი მიღება ხდება სახლში ან ვიზიტის დროს.

ის ბლოკავს იმ ჰორმონს, რომელიც აუცილებელია ორსულობის გასაგრძელებლად (პროგესტერონი), იწვევს საშვილოსნოს შეკუმშვებს და ხსნის საშვილოსნოს ყელს.

პირველი ნაბიჯის შემდგომ, შესაძლოა გქონდეთ სისხლდენა და ტკივილი, სხვადასხვა სიმძაფრით, მაგრამ ძირითადად სიმპრომები იწყება მე<sup>-2</sup> პრეპარატის მიღების შემდგომ.



სისხლდენა არ ნიშნავს იმას, რომ ორსულობა შეწყვეტილია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მიიღოთ მე<sup>-2</sup> პრეპარატი.

კონტრაცეფციის არჩეული მეთოდი დაინიშნება ვიზიტის დროს.

### 2. მეზოპრისტოლის მიღება, 24 და 48 საათებს შორის

ეს წამალი უნდა მიიღოთ სახლში, ვიზიტის დროს ან საავადმყოფოში ხანმოკლე ყოფნის დროს. ის ზრდის შეკუმშვას და იწვევს აბორტს. საშვილოსნოს შეკუმშვა იწვევს ტკივილს, რომელიც მენტრუაციის შედეგად გამოწვეული დისკომფორტის მსგავსია, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება იყოს უფრო ძლიერი (მენჯის არეში ტკივილი) და შეიძლება შემსუბუქდეს ტკივილგამაყუჩებლების მიღების შედეგად.

ორსულობის შეწყვეტის შედეგად საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობით სისხლდენა შეიძლება დაიწყოს მიზოპრისტოლის მიღებიდან ძალიან მალე ან ზოგჯერ მოგვიანებით:

- შემთხვევების 60% ორსულობის შეწყვეტა ფიქსირდება 4 საათის შემდგომ მეზოპრისტოლის მიღებიდან;
- შემთხვევების 40%, ორსულობის შეწყვეტა ფიქსირდება 24-დან 72 საათის შემდგომ მეზოპრისტოლის მიღებიდან;

სისხლდენა ზოგადად 15 დღე გრძელდება.

წარმატების შემთხვევაში, ეს მეთოდი არ საჭიროებს ანესთეზიას ან ქირურგიულ ჩარევას.

## რა გართულებები შესაძლოა წარმოიშვას მედიკამენტოზური აბორტის დროს?

ყველაზე ხშირი, დაუყოვნებლივი გვერდითი მოვლენები, რომლებიც არ წარმოადგენს საშიშროებას:

- მენჯის არეში ტკივილი, რომლის დროსაც ექიმი ან ბეზიქალი დაგინიშნავთ ტკივილგამაყუჩებლებს;
- სისხლდენა;
- საკვების მოწელების პრობლემები: გულისრევა, ღებინება, დიარეა.

**თუ განიცდით ერთს ან მეტ სიმპტომს/ჩვენებას აბორტის შემდგომ, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ იმ დაწესებულებას, სადაც ჩაიტარეთ აბორტი, ან წინააღმდეგ შემთხვევაში, უახლოეს გადაუდებელ და სასწრაფო დახმარების განყოფილებას, რადგან ეს შესაძლოა იყოს გართულების ნიშანი:**

- ცხელება, 38°C-ზე მაღალი ტემპერატურით;
- სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვა;
- ძალიან ძლიერი ტკივილი მუცლის არეში;
- თავბრუსხვევა.



---

პრაქტიკული რეკომენდაცია *მედიკამენტოზური აბორტები სახლის პირობებში* მოცემული ამ სახელმძღვანელოს დანართში 4. დაგეგმარებათ მთელი ამ პროცესის გასავლელად და შეიცავს სიმპტომების იმ ჩამონათვალს, რომლებსაც ყურადღება უნდა მიაქციოთ.

---

## მეთოდის ეფექტურობა

მედიკამენტოზური აბორტის წარმატების მაჩვენებელი დაახლოებით 95%-ია.



---

ამ ორ შემთხვევაში (მედიკამენტოზური ან ქირურგიული აბორტი), თუ თქვენი სისხლის ჯგუფი არის RhD უარყოფითი, შეგიძლიათ მიიღოთ ანტი-D იმუნოგლობულინის ინექცია სისხლდენის დაწყებიდან არაუგვიანეს 72 საათის განმავლობაში, რათა თავიდან აიცილოთ გართულებები მომავალ ორსულობასთან დაკავშირებით. გაითვალისწინეთ, თან იქონიოთ თქვენი სისხლის ჯგუფის მონაცემები.

---



მეოთხე ნაბიჯი: განმეორებითი კონსულტაცია



> **სავალდებულო**

იმისათვის, რომ დარწმუნდეთ რომ პროცედურამ წარმატებით ჩაიარა და გართულებები არ აღინიშნება.



**ფსიქოსოციალური ვიზიტი**

იმ შემთხვევაში, თუ თვლით რომ ეს საჭიროა

განმეორებითი ვიზიტი აბსოლუტურად საჭიროა აბორტის შემდგომ. იმისათვის, რომ დარწმუნდეთ რომ პროცედურამ წარმატებით ჩაიარა და გართულებები არ აღინიშნება.

ის უნდა განხორციელდეს მე<sup>-14</sup> და 21<sup>-0</sup> დღეებს შორის აბორტის შემდგომ; ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა უფრო ადრეც კლინიკური მდგომარეობის მიხედვით.

- ქირურგიული აბორტის შემთხვევაში, ეს განმეორებითი ვიზიტი უნდა განხორციელდეს ექიმთან ან ბებიაქალთან.
- მედიკამენტოზური აბორტის შემთხვევაში, ის უნდა განხორციელდეს:
  - კლინიკაში ექიმთან ან ბებიაქალთან;
  - ავტორიზებულ სექსუალური ჯანმრთელობის ცენტრში (ე.წ. ოჯახის დაგეგმვისა და განათლების ცენტრებში);
  - ავტორიზებულ ჯანმრთელობის ცენტრში;
  - სამედიცინო დაწესებულებაში.

ის შესაძლოა განხორციელდეს დისტანციურად ვიდეო-ვიზიტით (იხილეთ დანართი 3).

განმეორებითი ვიზიტის დროს, ექიმი ან ბებიაქალი ხელახლა განიხილავენ თქვენთან იმ კონტრაცეფციის მეთოდს, რომელიც საუკეთესოდ შეგეფერებათ თქვენი მდგომარეობის გათვალისწინებით.

ისინი ასევე შემოგთავაზებენ ფსიქოსოციალურ ინტერვიუს სურვილის შემთხვევაში.







შესაძლებელია დაფეხმძიმება დაუყოვნებლივ აბორტის შემდგომ. დამატებით, აუცილებელია გამოიყენოთ კონტრაცეფცია პროცედურის შემდგომ, საჭიროებისამებრ.

აბორტის განსახორციელებლად სამედიცინო ვიზიტები საშუალებას გაძლევთ მიიღოთ დეტალური ინფორმაცია კონტრაცეფციის არსებული საშუალებების შესახებ და განიხილოთ, თუ რომელი მათგანი შეგესაბამებათ თქვენ ექიმთან ან ბებიაქალთან. ორსულობა შეიძლება დადგეს ძალიან სწრაფად, ამიტომ არჩეული კონტრაცეფცია დაიწყება ან შერჩეული იქნება რაც შეიძლება მალე აბორტის შემდეგ.

## რეცეპტული კონტრაცეფცია

კონტრაცეფცია შესაძლოა დაინიშნოს აბორტის შემდგომ:

- ექიმების მიერ;
- ბებიაქალების მიერ.

სქესობრივი ჯანმრთელობის ცენტრები (ე.წ. CPEF) სთავაზობენ უფასო კონტრაცეფციას არასრულწლოვნებს, რომელთაც სურთ მისი საიდუმლოდ შენახვა და მათ, ვისაც სოციალური დაზღვევა არ გააჩნია.

პირველი ვიზიტი კონტრაცეფციასთან და სქესობრივი გზით გადამდებ (ცნობილი როგორც CCP) ინფექციებთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია სრული ანაზღაურებით ახალგაზრდებისთვის 26 წლამდე<sup>1</sup>. დაუშვებელია დამატებითი გადასახადები.

ახალგაზრდა ქალებისთვის 26 წლამდე კონტრაცეფციის მეთოდის პროცესი ექიმის ან ექტონის მხარდაჭერით (კონსულტაციები<sup>2</sup>, კლინიკური ტესტები), ასევე, ჯანმრთელობის დაზღვევით ანაზღაურებადი კონტრაცეფციის დანიშნა უფასოა და განიხილება კონფიდენციალურად ახალგაზრდა ქალბატონის მოთხოვნისამებრ.

1 CCP-ის შემთხვევაში დაუშვებელია დამატებითი გადასახადები.

2 წელიწადში ერთი კონსულტაცია და განმეორებითი ვიზიტი პირველ წელს, როდესაც კონტრაცეფცია ხელმისაწვდომი იყო. დაუშვებელია დამატებითი გადასახადები.

## კონტრაცეფციის არჩევა

იმისათვის, რომ დაგეხმაროთ გადაწყვეტილების მიღებაში, სხვადასხვა ხელმისაწვდომი კონტრაცეფციის მეთოდები ჩამოთვლილია დანართში 4.

არც ერთი მეთოდი არ არის აბორტის უკუჩვენება, განსაკუთრებული შემთხვევების გამოკლებით.

## ინტრავაგინალური კონტრაცეფცია

ქალისთვის კონტრაცეფციის მეთოდის შერჩევა შესაძლებელია აბორტის გაკეთებისთანავე.

საშილოსნოსშიდა მოწყობილობის (სპილენძის ან პროგესტერონის) მოთავსება შესაძლებელია დაუყოვნებლივ ქირურგიული აბორტის შემდგომ (ინფექციის შემთხვევების გარდა) ან განმეორებითი ვიზიტის დროს მედიკამენტოზური აბორტის შემთხვევაში.

პორმონული, ესტროგენისა და პროგესტერონის კომბინირებული (აბი, დასაკრავი) ან მხოლოდ პროგესტერონის (აბი, იმპლანტი, ინექცია) კონტრაცეფტივების დაწყება შესაძლებელია:

- იმავე ან მომდევნო დღეს ქირურგიული აბორტის შემდგომ;
- მიზოპროსტოლის მიღების დღეს - მე-2 პრეპარატის მიღებისას - მედიკამენტოზური აბორტისთვის.

გარე (“მამაკაცის”) ან შიდა (“ქალის”) კონდომების გამოყენება შესაძლებელია მას შემდეგ, რაც განაახლებთ სექსუალურ ცხოვრებას. ეს არის კონტრაცეფციის მხოლოდ ის ფორმები, რომლებიც დაგიცავთ სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისგან, მათ შორის. აივ ინფექცია/შიდსისგან.

დამატებით, ინტრავაგინალური კონტრაცეფციული მეთოდების (ვაგინალური რგოლი, დიაფრაგმა, ა.შ) გამოყენება არ არის რეკომენდირებული დაუყოვნებლივ პროცედურის შემდგომ, პირველი მენსტრუალური ციკლის დროს აბორტის შემდგომ.

## გადაუღებელი კონტრაქცია

გადაუღებელი კონტრაქცია ამცირებს არასასურველი ორსულობის რისკს დაუცველი/მინიმალურად დაცული სქესობრივი კავშირის შემდგომ (კონტრაქციის არ არსებობა, აბის მიღების დავიწყების, დაზიანებული კონდომის შემთხვევაში და ა.შ).

მათი გამოყენება დასაშვებია დროგამოშვებით და არ უნდა ჩაანაცვლოს ჩვეულებრივი კონტრაქციის მეთოდებით.

გადაუღებელი კონტრაქცია ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდია იმ შემთხვევაში, თუ მიიღებთ სქესობრივი კავშირიდან რამდენიმე საათის და 5 დღის შემდეგ ყველაზე გვიან.


გადაუღებელი კონტრაქციის ორი ტიპი არსებობს:

- ჰორმონალური გადაუღებელი კონტრაქცია, რომლის შეძენაც შესაძლებელია აფთიაქებში დანიშნულების გარეშე და სრულად იფარება ყველა დაზღვეულისთვის. ის უფასოა და ანონიმურად გადაეცემა არასრულწლოვნებს.
- საშვილოსნოსშიდა სპირალის მოწყობილობა, დანიშნულებით უფასო (ექიმი, ბებიაქალი) 26 წლამდე ასაკის ქალებისთვის, 65%-ით ანაზღაურდება დანიშნულებით.

ჰორმონალური გადაუღებელი კონტრაქცია არ არის 100%-ით სანდო. საშვილოსნოსშიდა მოწყობილობა ყველაზე ეფექტური გადაუღებელი კონტრაქციის მეთოდია. თუ შეამჩნიეთ, რომ დაგიგვიანდათ ციკლი და ორსულად ხართ გადაუღებელი კონტრაქციის გამოყენების მიუხედავად, მნიშვნელოვანია, გაიაროთ კონსულტაცია ექიმთან ან ბებიაქალთან.

## სად მოიპოვოთ დამატებითი ინფორმაცია კონტრაცეფციის შესახებ

- სქესობრივი ჯანმრთელობის ცენტრებში (ე.წ. CPEF), ასევე, საოჯახო ინფორმაციის, კონსულტაციისა და რჩევის ცენტრებში (EICCF) ან EVARS-ში. ამ ორგანიზაციების მისამართები და საკონტაქტო დეტალების სია, შექმნილი დეპარტამენტის მიერ, შეგიძლიათ იხილოთ აქ:
- უფასო და ანონიმური ეროვნული “Sexualités – Contraception – IVG” (“სექსუალურობა – კონტრაცეფცია – აბორტი”) +33 (0) 800 081 111.
- მომდევნო ვებ-გვერდებზე:
  - <https://questionsexualite.fr/choisir-sa-contraception>: ეს ვებ-გვერდი დაგეხმარებათ აირჩიოთ ის კონტრაცეფციის მეთოდი, რომელიც საუკეთესოდ შეგეფერებათ თქვენი ცხოვრების სტილისა და პირადი მდგომარეობის მიხედვით;
  - <https://ivg.gouv.fr/>: ამ ვებ-გვერდზე შეგიძლიათ იხილოთ სასარგებლო ინფორმაცია აბორტის და აბორტის შემდგომი კონტრაცეფციის შესახებ.



---

# დანართები

---

## დანართი 1

არასრულწლოვანთა აბორტის სპეციფიკა ..... 22

## დანართი 2

აბორტის ფასი ..... 24

## დანართი 3

დისტანციური ვიზიტები აბორტისთვის ..... 27

## დანართი 4

პრაქტიკული რჩევები მედიკამენტოზური აბორტის შესახებ სახლის პირობებში ..... 28

## დანართი 5

კონტრაცეფციის მეთოდები ..... 36

## დანართი 6

საკანონმდებლო და მარეგულირებელი ცნობები ..... 39

## არასრულწლოვანთა აბორტის სპეციფიკა

კანონი უფლებას აძლევს ორსულ ქალებს, მათ შორის, არასრულწლოვნებს, რომლებსაც არ სურთ ორსულობის გაგრძელება, მოითხოვონ ორსულობის შეწყვეტა ექიმთან ან ბებიაქალთან.

იმ შემთხვევაში, თუ ხართ არასრულწლოვანი შეგიძლიათ მოითხოვოთ ეს პროცედურა თქვენით, სხვა პირების გარეშე.

### მშობლის თანხმობით

შეგიძლიათ მოითხოვოთ თანხმობა თქვენი ერთ-ერთი მშობლისგან ან იურიდიული წარმომადგენლისგან და ეს ახლობელი ადამიანი წამოგყვეთ აბორტის პროცედურაზე.

### მშობლის თანხმობის გარეშე

თუ გსურთ ეს საიდუმლოდ შეინახოთ მშობლებისგან, ან არ გაქვთ მათი თანხმობა (მშობლები, რომლებიც უარს აცხადებენ თანხმობაზე ან ვერ უკავშირდებიან ერთ-ერთს) აბორტზე და შესაბამის სამედიცინო პროცედურებზე, კერძოდ კი, ანესთეზიაზე და შესაბამის მკურნალობაზე, აბორტი შესაძლოა ჩატარდეს მხოლოდ თქვენი მოთხოვნით და შესაბამისად, არ არის საჭირო მშობლის ხელმოწერა პროცესის დასაწყებად.

ამ შემთხვევებში, მთელი პროცესის განმავლობაში თან უნდა გახლდეთ ზრდასრული ადამიანი, რომელსაც თავად აირჩევთ. თუმცა, ამ ადამიანს შეუძლია არ მოაწეროს ხელი დოკუმენტებს.

**თუ ხართ არასრულწლოვანი, რომელიც ითხოვს აბორტს, შეგიძლიათ დარჩეთ სრულად ანონიმური აბორტის გაკეთებასთან დაკავშირებით, განურჩევლად მეთოდისა.**

### იმისათვის, რომ ჩატარდეს აბორტი:

თან უნდა გქონდეთ დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს იმას, რომ გაიარეთ სავალდებულო ნაბიჯები:

- ექიმის ან ბებიაქალისაგან გაცემული დასტური, რომელიც მიუთითებს, რომ თქვენ შეასრულეთ **წინა სავალდებულო სამედიცინო ნაბიჯები** (ინფორმაციის პერიოდი და დრო თანხმობის მისაღებად);
- **ფსიქოსოციალური კონსულტაციის დასტური;**

- **თქვენი წერილობითი თანხმობა აბორტის მოთხოვნასთან დაკავშირებით;**
- **თქვენი მამის ან დედის წერილობითი თანხმობა** (ან თქვენი იურიდიული წარმომადგენლის) ან თუ არ გაქვთ ეს თანხმობა, **დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ აირჩიეთ თანხმლები ზრდასრული.**

### **არასრულწლოვანთა აბორტის ფასი**

არასრულწლოვანი ქალებისთვის, რომლებიც არ არიან ემანსიპირებული და არ აქვთ მშობლის თანხმობა, სამართლებრივი დებულებები ითვალისწინებს სრულიად ანონიმურ მკურნალობას და უფასო აბორტს.

შესაბამისად, განურჩევლად იმისა, მედიკამენტოზურია აბორტი თუ ქირურგიული, უფასოა:

- ვიზიტები აბორტის წინ;
- დამატებითი კვლევები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ორსულობის ვადის დადგენა (სისხლის ანალიზები, ულტრაბგერითი კვლევები ა.შ.);
- ანესთეზიის წინა ვიზიტი, საჭიროებისამებრ;
- სამედიცინო დაწესებულებაში განხორციელებული აბორტის მკურნალობისა და საავამდყოფოში დაყოვნების ხარჯები ან ექიმის ან ბებიაქალის მიერ განხორციელებული მედიკამენტოზური აბორტის ხარჯები სამედიცინო დაწესებულების გარეთ (პრეპარატების დანიშვნის კონსულტაციები, განმეორებითი ვიზიტები, წამლები).

## აბორტის ხარჯები

უნებლად რომ ვთქვათ, აბორტთან დაკავშირებულ ხარჯებს სრულად ფარავს ჯანმრთელობის დაზღვევა. 2016 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, ყველა კვლევა, რომელიც უკავშირდება აბორტს, სრულად ანაზღაურდება.

**აბორტი** სრულად არის დაფარული, როგორც უცვლელი განაკვეთის ნაწილი, 2021 წლიდან ყველა ქალისთვის ხარჯებისგან წინასწარ გათავისუფლებით.

### ადგილობრივ კლინიკებში განხორციელებული ვიზიტების ფასები

2016 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, აბორტის ჩასატარებლად საჭირო კვლევებთან დაკავშირებული ხარჯები სრულად ანაზღაურდება ადგილობრივ კლინიკაში.

ისინი ექვემდებარება სამედიცინო დანიშნულებას ექიმის ან ბებიაქალისაგან, შემდეგი კოდების შესაბამისად:

სერვისის კოდი	ჩატარებული კვლევები	ხარჯები 2019 წლის 18 დეკემბრიდან
FPB	ლაბ. ანალიზები აბორტამდე	€69.12
FUB	ლაბ. ანალიზები აბორტის შემდგომ	€17.28
IPE	ულტრაბგერითი გამოკვლევა აბორტამდე	€35.65

განმეორებითი ვიზიტის დროს (აბორტის შემდეგ), ექიმი ან ბებიაქალი ასევე გამოგიწერთ ინვოისს განმეორებითი ულტრაბგერითი გამოკვლევისთვის (ვიზიტი და ულტრაბგერითი გამოკვლევა = €30,24).

კლინიკური პათოლოგიის ლაბორატორიები და ვიზუალიზაციის ცენტრები ამ პროცედურებზე დამატებით საფასურს ვერ მიიღებენ.



## ადგილობრივ კლინიკებში განხორციელებული აბორტის ფასები

სამედიცინო აბორტები საავადმყოფოების გარეთ (ექიმის ოპერაციები (ექიმი ან ბეზიაქალი), ჯანდაცვის ცენტრები, სექსუალური ჯანმრთელობის ცენტრები (ყოფილი CPEF)) სრულად ანაზღაურდება ჯანმრთელობის დაზღვევით, ყოველ ნაბიჯზე დადგენილებით განსაზღვრული ხარჯებით.

ექიმი ან ბეზიაქალი, რომელიც ახორციელებს აბორტს სრულად, აფორმებს ყოველ ნაბიჯს ცალმხრივი ანაზღაურებისთვის, როგორც ეს გათვალისწინებულია დადგენილებით<sup>1</sup>.

ეს უცვლელი განაკვეთი მოიცავს:

- სამედიცინო კონსულტაციებს თანხმობის მოსაპოვებლად აბორტამდე. ეს კონსულტაცია სრულად ანაზღაურდება არა-საავადმყოფოს ტიპის ცენტრში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ უშალოდ აბორტი განხორციელდა საავადმყოფოში;
- ორი სამედიცინო ვიზიტი პრეპარატების მისაღებად,
- პრეპარატების გამოწერა;
- განმეორებითი სამედიცინო ვიზიტი (რომლის დროსაც ექიმმა ან ბეზიაქალმა შესაძლოა აირჩიოს განმეორებითი ულტრაბგერითი გამოკვლევის ჩატარება);
- ანტი-D ანტისხეულების შესაძლო ინექცია RhD-უარყოფითი სისხლის მქონე ქალებისთვის.

როდესაც აბორტი დისტანციურად ტარდება, ექიმი და ბეზიაქალი იღებენ ანაზღაურებას კონსულტაციის შესაბამისად და ფარმაცევტი იღებს ანაზღაურებას გაზრდილი განაკვეთით მედიკამენტების გაცემისთვის.

## სამედიცინო დაწესებულებაში განხორციელებული აბორტის ფასები

სამედიცინო აბორტი სამედიცინო დაწესებულებაში (საავადმყოფო, კლინიკა) სრულად ანაზღაურდება ჯანმრთელობის დაზღვევის მიერ €353.64-დან და €376.77-მდე, რაც განსაზღვრულია პროცედურის შემდგომი განმეორებითი სამედიცინო ვიზიტებისა და ულტრაბგერითი კვლევების მიხედვით.

ეს ფასი მოიცავს:

- ლაბ. ანალიზებს აბორტამდე;
- ულტრაბგერით გამოკვლევას აბორტამდე;
